გულნაზ ხუხუა

პედაგოგიკის კლასიკოსთა შეხედულებები ოჯახური აღზრდის შესახებ

I ნაწილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრა

გულნაზ ხუხუა

პედაგოგიკის კლასიკოსთა შეხედულებები ოჯახური აღზრდის შესახებ

I ნაწილი

თბილისი 1998

ნაშრომში განხილულია საშინაო-ოჯახური აღზრდის პრობლემა კლასიკურ-პედაგოგიური ცოდნა-გამოცდილების შუქზე.

იგი განკუთვნილია მშობლების, პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის. ასევე აღზრდის პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი: დოც. ა. ლომაძე

რეცენზენტი: დოც. ძ. კვიციანი

მხატვარი: გ. დანელია

ISBN 07701-895
01-97

© ეოფი

შესავალი

კაცობრიობის მიერ დაგროვილი პედაგოგიური ცოდნა-გამოცდილების მნიშვნელოვან ნაწილს საშინაო-ოჯახური აღზრდის თეორია შეადგენს. პედაგოგიკის კლასიკოსები (მ.ფ. კვინტილიანე, ფრ. რაბლე, ი. ა. კომენსკი, ჯ. ლოკი, ჟ.ჟ. რუსო და სხვ.) ეყრდნობოდნენ რა შემეცნების სენსუალურ გაგებას, პიროვნების ფორმირებაში ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილებების უდიდეს მნიშვნელობას ერთხმად აღიარებდნენ. ბავშვის ბუნებრივი ძალების განვითარებისა და სკოლისათვის მომზადების საქმეს სერიოზულად ეკიდებოდნენ. კიდევაც შექმნეს მეცნიერულად დასაბუთებული პედაგოგიური თეორია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის შესახებ. სწავლებისა და აღზრდის ერთიანობის, ბავშვის ბუნებასთან აღზრდის შესაბამისობის კანონთა საფუძველზე. ისტორიული ცოდნა-გამოცდილების გათვალისწინება იძლევა საშუალებას აწმყოს გაგებისა და მომავლის განჭვრეტისა, ამდენად ეცადეთ ოჯახური აღზრდის პრობლემასთან დაკავშირებით პედაგოგიკის კლასიკოსთა შეხედულებების ანალიზის საფუძველზე გამოგვეკვეთა თანამედროვე თვალსაზრისით პედაგოგიურად ღირებული მოსაზრებები.

თუ როგორ მოხერხდა ეს, თავად განსაჯოს მკითხველმა.

პედაგოგიკის კლასიკოსთა შეხედულებები ოჯახური აღზრდის შესახებ

„უმაწვილი მისი გზის დასაწყისზეც ეგ გაწვრთვნი და სიბერეშიც კი არ გადაუხვევს მას“

(სოლომონის იგავნის 22:6)

ადამიანთა საზოგადოებრივ-სოციალური სტრუქტურის პირველი რგოლი იყო და არის ღმერთის მიერ დიდი სიყვარულით დაფუძნებული ოჯახი. ოჯახის ცნებაში იმთავითვე მოიაზრებოდა ღვთის ხატად შექმნილი (და არა მაიმუნისაგან წარმოშობილი) მამაკაცისა და დედაკაცის მოწონებისა და სიყვარულის საფუძველზე აღმოცენებული ურთიერთობა. იესო ქრისტემ თქვა: „შემოქმედმა დასაბამიდან მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“... „ამიტომ მიატოვებს კაცი მამას და დედას, მიეწებება თავის ცოლს და ორნი იქნებიან ერთ ხორცად“[1]. ამრიგად, რაც ღმერთმა შეაუღლა, კაცი ნუ გაყრის მას“[2].

მეუღლეებს ღმერთმა მოქმედების პროგრამაც მისცა: „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა...“[3], რომელშიც იგულისხმებოდა მსგავსთა გაჩენა და არა მარტო გაჩენა, ამასთანავე მის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბება სწავლება-აღზრდის გზით. ამას მოწმობს ბიბლიური მოწოდებები: — შვილებს „მიეცი კარგი მაგალითი“, ან კიდევ: „ჩააგონებდე შენს შვილებს ღმერთის სიტყვებს და უთხრობდე სახლში ჯდომისას, გზაზე სიარულისას, დაწოლისას და ადგომისას“[4].

ბიბლიურ კანონებს ოჯახურ აღზრდასთან დაკავშირებით სპეციალური თავი დავუთმეთ ჩვენს წიგნში „ქრისტიანული მორალი და პიროვნების ფორმირება“ (თბ., 1997) ამჯერად მოვუხმობთ მხოლოდ პედაგოგიკის კლასიკოსთა იმ შეხედულებებს, რომელიც აღნიშნული პრობლემების დასაბამსა და ისტორიულ ლოგიკურ კავშირებს დაგვანახებს.

მართლაც, ოჯახმა, როგორც საზოგადოებისა და სახელმწიფოს პირველადმა უჯრედმა თავისი თავი (6 ათასი წლის განმავლობაში, ადამისა და ევას ოჯახიდან დაწყებული) პირვანდელი ძირითადი ნიშნებით დღემდე შემოინახა, რაც უთუოდ მის ღვთიურ წარმომავლობაზე მეტყველებს.

ოჯახი არის მთავარი, უფრო მეტიც, უნიკალური, მშვიდობიანი და ბედნიერი თავშესაფარი მოსიყვარულე ადამიანებისა, კანონიერი ადგილი დაბადების, აღზრდისა და ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებისა. „ოჯახის გარეშე არ არსებობს საზოგადოება და ვისაც საზოგადოებრივი კეთილდღეობის ინტერესები ამოძრავებს, ვინც პატრიოტი და ჰუმანისტია, იგი აუცილებლად უნდა ზრუნავდეს ოჯახის შექმნისა და განვითარებისათვის“[5].

ოჯახის და ოჯახური აღზრდის პიროვნულ და საზოგადოებრივ როლსა და მნიშვნელობას მუდამ ცნობდა და აღიარებდა კაცობრიობა, ამასვე მოწმობს პედაგოგიკის კლასიკოსთა დამოკიდებულება ამ პრობლემებისადმი.

მეცნიერული პედაგოგიკის პირველი ფუძემდებელი I საუკუნის რომაელი პედაგოგი მარკუს ფაბიუს კვინტილიანე ოჯახური აღზრდის პრობლემებს განსაკუთრებულ ადგილს უთმობს თავის პედაგოგიურ მოძღვრებაში. პირველი პედაგოგიური ტრაქტატის „ორატორის დარიგებანი“ ავტორის აზრით, ჩვილი საწყის ეტაპზე **ოჯახში მშობლების,** ყურადღებით შერჩეული **ძიძისა** და მაღალკვალიფიციური **მასწავლებლის** ზედამხედველობით უნდა იზრდებოდეს, ხოლო 7 წლის ასაკიდან ბავშვი აუცილებლად სკოლაში უნდა სწავლობდეს.

კვინტილიანე თვლის, რომ აღზრდაში აუცილებელია სიყვარული, რომელიც გამოიხატება სითბოში, ალერსსა და მოფერებაში, სიახლოვეში, თანადგომასა და დაცვაში და ა.შ. ამის საშუალება მხოლოდ მშობლებს, სისხლ-ხორცეულ ნათესავს გააჩნია. ამდენად მშობელი შეუცვლელია. კვინტილიანე

ოჯახს თვლის პირველ და მთავარ საფუძვლად სწავლების შემდგომი საფეხურებისათვის. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ საშინაო-საოჯახო აღზრდის საკითხებს რამდენიმე თავი მიუძღვნა მეცნიერმა თავის უკვდავ „ორატორის დარიგებანში“.

კვინტილიანე არაერთგზის მიუთითებდა აღზრდაში ოჯახის, მშობლების როლზე. იგი წერდა: „ბავშვი როგორც კი დაიბადება, მამა, უპირველეს ყოვლისა, მასზე დიდი იმედებით უნდა აღიესოს და ეს განწყობილება აიძულებს, იზრუნოს თავისი შვილებისათვის“[6].

ქალის უპირველეს დანიშნულებად ცოლობა და დედობა ითვლებოდა ძველ საბერძნეთსა და რომში. დედა, როგორც უპირველესი და უახლოესი პირი, შვილებისათვის ზნეობის მაგალითი უნდა ყოფილიყო. ამიტომ ექცეოდა დიდი ყურადღება ქალის ფართო განათლებას, მისი ქცევისა და მოქმედების კულტურას. ის ქალი ითვლებოდა შექების ღირსად, ვინც ზეციერი მამისგან ბოძებულ ბუნებრივ საზრდოს (დედის რძეს — *გ. ნ.*) არ აკლებდა თავის პირმშოს და საოჯახო საქმეებსაც კარგად ართმევდა თავს. შვილის ფიზიკურ აღზრდასთან ერთად დედას უნდა ეზრუნა მისი სულიერი განვითარებისა და ზნეობრივი სიწმინდისათვის, რაც მისგან მოითხოვდა ცოდნის გარკვეულ მარაგს ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან. ხატოვნად რომ ვთქვათ: განათლებულ თავს, კეთილ გულსა და გამრჯე ხელებს.

ოჯახური აღზრდის შესახებ ძველ საბერძნეთსა და რომში უკვე არსებობდა გარკვეული შეხედულებები და ტრადიციები. ჰორაციო საკუთარი მამის მაგალითზე ოჯახური აღზრდის გამოცდილებასთან დაკავშირებით წერდა: „თუ არავის შეეძლო ჩემზე ესაყვედურა ამპარტავნობის ან ჭუჭყიანი გარყვნილების გამო, თუ ჩემი ცხოვრება სუფთა და უხინჯო იყო და ასევე ჩემი მეგობრებისა, ეს მამაჩემის დამსახურებაა. ისე ზრუნავდა იგი ჩემს აღზრდაზე, რომ შემდეგ ჩემს გამო არ გაწითლებულიყო საზოგადოებაში“. პლუტარქეს ცნობით, კატონ უფროსი — განთქმული ისტორიკოსი განსაკუთრებულ

მნიშვნელობას ანიჭებდა მშვილების აღზრდას. იგი თავად მეთვალყურეობდა თავის შვილებს თურმე. თვითონ ასწავლიდა წერა-კითხვას, ცოდნის სხვადასხვა სფეროდან მისაწვდომ ფორმებში აწვდიდა ცოდნის ელემენტებს, უხსნიდა კანონებს, წვრთნიდა გიმნასტიკაში, ავარჯიშებდა სროლაში, ცხენზე ჯდომაში, ცურვასა და სხვა რაინდულ ქცევებში. მანვე დაწერა შვილებისათვის დიდი ასოებით მშობლიური ქალაქის ისტორია, რომ ბავშვი ოჯახში, ადრეული ასაკიდანვე გასცნობოდა მამულის წარსულს. იგი თავდაჭერილობითა და თავაზიანობით პირად მაგალითს წარმოადგენდა ბავშვებისათვის.

კატონ უფროსის აზრით, როგორიცაა დედა, ისეთივე იქნება მისი შვილი, ამიტომ მიაჩნდა ქალთა განათლება აუცილებლად, რადგან სწამდა, რომ განათლებული და განვითარებული დედა ღირსეულ მამულიშვილს აღუზრდიდა თავის სამშობლოს. შეუძლებელია ეს და ზემოთ დასახელებული მოსაზრებები მშობლებზე არ გაეზიარებინა კვინტილიანეს, როგორც წინამორბედთა, ისე თავის თანამედროვე სახელოვან მოღვაწეთა უდიდეს პატივისმცემელს, მათი იდეების გამზიარებელსა და პოპულიზატორს. ყოველ შემთხვევაში, მათი შეხედულებები მშობელთა როლზე აღზრდაში ერთმანეთს ემთხვევა.

ძიძა, როგორც აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა, დიდად გავრცელებული ფორმა ყოფილა საშინაო აღზრდის პირობებში. „ორატორის დარიგებანიდან“ ვგებულობთ, რომ მას ირჩევდნენ მეტყველების კულტურისა და ზნეობრივი ნიშნის მიხედვით, ენის ცოდნით, აზრის სიტყვით გამოთქმა-წარმოთქმის უნარ-ჩვევებით გამორჩეულს.

ძიძასა და მშობლებთან ერთად აღზრდა მაინც პედაგოგის გარეშე არ წყდებოდა. კვინტილიანე განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებდა შინ მოწვეულ მასწავლებლებსაც, რომლებსაც ანდობდნენ ყველაზე ძვირფას განძს — შვილს.

კვინტილიანეს მიხედვით, მშობლებს უნდა ეზრუნათ იმისათვის, რომ ბავშვს ჰქონოდა ოჯახში აღზრდისათვის აუცილებელი ხელსაყრელი პირობები. იგი მკაცრად აყენებდა საკითხს ყოველგვარი უზნეობის, მდარე ყოფაქცევისა და ცუდი მეტყველების გარემოცვისაგან ბავშვის დაცვის აუცილებლობის შესახებ; მოითხოვდა მკაცრი კონტროლის დაწესებას იმ გარემოზე, რომელშიც ბავშვი ცხოვრობდა. მომავალი ორატორი — განაგრძობს კვინტილიანე — ადრეული ასაკიდანვე უნდა იმყოფებოდეს ისეთ გარემოში, საღაც თავიდანვე არა მარტო სიტყვის სწორად წარმოთქმასა და გამართულ მეტყველებას მოისმენს, ამასთანავე მაღალი მორალური ქცევის სანიმუშო მაგალითებს დაინახავს.

კვინტილიანეს დროინდელი რომის საზოგადოების ზედა ფენა მაღალი მორალით ვერ დაიკვეხნიდა. აქ ისეთ ცხოვრებას ეწეოდნენ, რომელიც ხრწნიდა მოზარდთა ფსიქიკას. ამასთან დაკავშირებით კვინტილიანე წერს: „ყოველგვარ ნადიმზე გაისმის უშვერი, უხამსი სიმღერები. მათ შესახებ პირდაპირი საუბარი დიდი სირცხვილიც კია. აქედან იბადება ჩვეულება, რომელიც შემდეგ დამახასიათებელ ბუნებრივ თვისებად იქცევა. საცოდავი ბავშვები ყველაფერ ამას ითვისებენ, ჯერ კიდევ არ იციან რა, რომ ეს ბიწიერებაა, უზნეობაა“[8]. ამგვარ ამთვისებლობას ხელს უწყობს სრული წამქეზებლობა, წათამამება: „ოო, თვითონ ჩვენ რომ არ ვაფუჭებდეთ ჩვენი ბავშვების ზნეობას. ჩვენ თვითონ სხვადასხვანაირი წაქეზებით ვიწვევთ მათ ზნეობრივ მოდუნებას. ასეთი უდარდელი და წამქეზებლური აღზრდით, რომელსაც შემწყნარებლურს ეუწოდებთ, ფიზიკურად და გონებრივად ვაძაბუნებთ. რას არ მოისურვებს მომწიფების ასაკში შესული ის, ვინც ჩვილობიდანვე შეეჩვია განცხრომასა და ფუფუნებას. ეს-ეს არის ბავშვმა დაიწყო ტიტინი, უკვე ანსხვავებს გემრიელ საჭმელს და მოითხოვს მას. მისი ბავშვური ენამოჩლექილი მეტყველება გვართობს ჩვენ, სიტყვებს, გა-

რყვნილ ოჯახშიაც კი მიუღებლად რომ თვლიან, ჩვენ სიცილითა და კოცნით ვისმენთ პატარებისაგან. მერე კი რატომღაც გვიკვირს. ჩვენვე ვასწავლეთ ეგ სიტყვები ხომ ბავშვებს...?!“[9]

კვინტილიანე იძლევა რჩევას, რომ იმ ზნეობრივ თვისებებს, რომელიც უნდა ახასიათებდეს ზრდასრულ პიროვნებას, ადრეულ ასაკშივე ოჯახში უნდა ჩაეყაროს მყარი საფუძველი, რადგან „გაცილებით უკეთესია თავიდანვე ჩამოვუყალიბოთ ბავშვს შემდგომი განვითარების კარგი საფუძველი, რადგან გაცილებით მეტ ძალისხმევას მოითხოვს უკვე ფორმულირებული, ჩვეულებად ქცეული მანკიერების ამოძირკვა; ასეთ შემთხვევაში დახელოვნებულ აღმზრდელს ორმაგი ჯაფა აწევს: მან უნდა ჯერ გადააჩვიოს უკვე ფესვგადგმულ მიუღებელ ჩვევებს და ხელახლა ჩაუნერგოს სასურველი ახალი ჩვევები, ხოლო პირველი (გადაჩვევა) გაცილებით ძნელია“.[10] აქ ხელახალი აღზრდის პრობლემაზეა ყურადღება გამახვილებული.

კვინტილიანე ხაზს უსვამს ბავშვის მიმბაძველობის მაღალ უნარებს და მოითხოვს უფროსებისგან ბავშვებს აჩვენონ ყოფაქცევის, ზნეობისა და გონიერების სანიმუშო პირადი მაგალითი. საშინაო, ოჯახურ აღზრდასთან დაკავშირებული არც ერთი დეტალი ყურადღების მიღმა არ რჩება კვინტილიანეს.

კვინტილიანეს შემეცნების თეორია ემყარება სენსუალიზმს. მეცნიერი აშკარად ავლენს ცოდნას იმის შესახებ, რომ ადამიანს აქვს შემეცნების პოტენციური უნარები გრძნობის ორგანოების გზით, მაგრამ მან არაფერი იცის ობიექტური სინამდვილის შესახებ მანამ, სანამ იგი შეგრძნებაში არ ექნება. შემეცნებისადმი სენსუალური მიდგომა „ორატორის დარიგებანის“ ავტორს აძლევს საშუალებას აღზრდის პრიორიტეტის აღიარებისა. ამიტომ კვინტილიანეს მიხედვით, აღზრდის მიზანმიმართულ-გეგმაზომიერი პროცესი უნდა იწყებოდეს ბა-

ვშვის დაბადებისთანავე. ოჯახში მშობლების, ძიძისა და მასწავლებლის ერთობლივი ზედამხედველობით, მიზანში უნდა იყოს ბავშვის გრძნობის ორგანოების (როგორც გონების იარაღების) განვითარება, კონკრეტული, ცოცხალი განსჭვრეტით მიღებული შთაბეჭდილებითი გამდიდრება.

საშინაო-საოჯახო აღზრდის შესანიშნავი კონკრეტული მაგალითი მოგვცა მე-16 საუკუნის ფრანგმა, ჰუმანისტმა მწერალმა ფრანსუა რაბლემ თავის პედაგოგიურ-სატირისტულ რომანში „გარგანტუა და პანტაგრუელი", რომელსაც თავისი პედაგოგიური ღირებულება დღესაც არ დაუკარგავს. ამაში თვით ამ შრომის გაცნობით დაერწმუნდებით.

მართალია, ფრ. რაბლეს ვერ წარმოუდგენია სკოლამდელი აღზრდის პრობლემის გადაწყვეტა მასწავლებლის გარეშე, მაგრამ თუ მაშინ შეიძლებოდა აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა, დღეს იგი უფრო ადვილია. მწერალმა პონოკრატეს სახით დაგვიხატა ღირსეული მასწავლებლის პიროვნება და გვიჩვენა მისი უსაზღვრო შესაძლებლობა ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში. მით უმეტეს, რომ პონოკრატეს არასწორი აღზრდით სულიერ-ზნეობრივად დასახიჩრებულის ხელახლა აღზრდასთან ჰქონდა საქმე.

„უყურა პონოკრატემ, უყურა და რა ნახა, რომ გარგანტუას ზნე-ქცევა არ უვარგა, გადაწყვიტა სხვა რიგ კეთილმეცნიერებითა განსწავლა იმისი, თუმცაღა პირველ ჟამად თავისა ნებაზედ მიუშვა, რამეთუ ჰგონებდა, ბუნება შეუძრწუნებლად ანაზდეულ ცვალებასა ვერ იტანსო".

როცა დაადგინა პონოკრატემ გარგანტუას აღზრდილობისა და განათლების დონე „დასტურ მისახედად მიზნისა, პონოკრატემ იქაურ სწავლულთა და მეცნიერთა საზოგადოებას აზიარა გარგანტუა, რათა გვაჯითა და ბაძვით სულიერად ამაღლებულიყო იგი და გასჩენოდა წადილი რუდუნებისა და გამოჩინებისა".

პონოკრატეს აზრით, მაღალი რანგის საზოგადოების გაცნობით გარგანტუას ეძლეოდა საშუალება შედარებისა, რომ ნათლად ენახა განსხვავება მდაბიურსა და მაღალ კულტურას შორის და ამ ფონზე შეეცნო საკუთარი „მე".

„მერე მან ისერიგად გაარიგა დრო საწვრთნელად, რომ გარგანტუას ერთი ჟამიცა უქმად არ ეკარგებოდა, დილიდან დაღამებამდისა დია გამოსადეგ ცოდნასა იყო დაწაფებული". დილით საღვთო წერილს გამომეტყველებით წაუკითხავდნენ, რაც ისე ზემოქმედებდა გარგანტუაზედ, „რომ იგი მოწიწებითა და სიყვარუით იმსჭვალებოდა უფლის მიმართ".

გარგანტუა, სანამ დილის პირადი ჰიგიენით იყო დაკავებული, „მოძღვარი ერთხელ უკვე წაკითხულსა ხელახლა უმეორებდა, უხსნიდა, რასაც ვერ ჩახვდებოდა, ანდა რაიცა გასძნელებოდა".

გარგანტუას ბუნებას ბუნებაზე დაკვირვებით ასწავლიდნენ, „ცისარტყელასა უთვალთვალებდნენ, რა დღეშიაო, ვითარ წუხელ იყო ისეთივეა, თუ არაო, და განსაზღვრავდნენ მზე აწ რა ბურჯზედ ამობრწყინდებაო და მთვარე რა ეტლს ამოჰყვებაო".

„ამისა უკან გარგანტუას ტანთ აცმევდნენ, თმას უვარცხნიდნენ, უხუჭუჭებდნენ, სურნელთ აპკურებდნენ და სრულიად ამ ხნის განმავლობაში წინადღისა გაკვეთილთ ამეორებინებდნენ. იგი ზეპირ უპასუხებდა და თან სულ იმის ცდაში იყო შემთხვეულობა რამ ცხოვრებისა მოემარჯვებინა".

ამის შემდეგ ახალ მასალას სამი საათი უკითხავდნენ და უხსნიდნენ. „მერმე ჰაერზედ გადიოდნენ, წაკითხულსა გზა-გზა სჯიდნენ და სატანვარჯიშოდ ბრაკს მიაშურებდნენ, ანდა სადმე გაიმინდვრებდნენ, ბურთსა გაიგდებდნენ, ჩოგანსა ამოჰკრავდნენ, ეცი მაგასო, მწეევარსაებრ დაედევნებოდნენ. ისევ ისე ხერხიანად იწრთობდნენ სხეულსა, ვითარც წეღან სულს იწვრთნიდნენ. ძალასა არასოდეს იტანდნენ, უნდოდათ — ითამაშებდნენ, უნდოდათ — არა და უკეთუ ოდნავ გაიოფლებოდნენ, ანდა დაიღლებოდნენ, უმალ თავს ანებე-

ბდნენ ფუნდუკსა, ტანსა გულდაგულ შეიმშრალებდნენ, გამოიცვლიდნენ პერანგთ... და საჭმლის მოლოდინში კაფიეტად და გამომეტყველად ზეპირ უბნობდნენ, რაც კი იმ დღისა გაკვეთილით დახსომებოდათ". სადილად რომ დასხდებოდნენ, „პირველ ორ თვესა თან იმის ახსნაში იყვნენ, რას რა თვისობრიობა ჰქონდა, რა თავისებურება, რა მარგებლობა და რისგან შექმნილიყო ყველაზე კაი სუფრაზედ მირთმეული: პური, ღვინო, წყალი, მარილი, ხორცი, თევზი, ხილი, მწვანილი, ბულღო და არცა ის გამორჩებოდათ, რა კერძი რაგვარ უნდა განემზადებინათ. გზადაგზა გარგანტუამ მცირე რამ ხანში დაისწავლა პლინიუსის, ათენოსის, დიოსკორიდოსის, იულიუს პოლუქსის, ჰელიოდორეს, არისტოტელეს, ელიანესა და სხვათა წიგნთაგან შესაბამისად გამოკრეფილნი მუხლნი". ცოდნის ღრმად და მტკიცედ შეთვისების მიზნით განმეორება-ვარჯიშის მეთოდებს მიმართავდნენ. „შემდგომად ისევ იწყებოდა გამაჯანსაღებელი სანიტარულ-ჰიგიენური პროცედურები: „გარგანტუა დანამასტიკის ტოტითა კბილთ გამოიჩიჩნიდა, ხელ-პირსა ცივი წყლით გადაიბანდა და უფალსა მადლსა შესწირავდა უცხო ქებისა გალობითა, განადიდებდა კეთილმოწლეობასა და მოწყალებასა მისასა..." მერე „შესაქცევად ოინთა იგონებდნენ და მახვილგონებიანად რიცხვთათვისა სწავლაზედ, ანუ არითმეტიკაზედ აგებდნენ". ამგვარი თამაშით „ისე გაიწაფა და გავარჯიშდა ხედვითად, თუ საქმითად, რომ მასთან თვით ტუნსტალიც (დიდი ინგლისელი მათემატიკოსი) უკან დაიხევდა.

გარგანტუას, სიბეჯითის წყალობით, კარგად ემარჯვებოდა გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა — სახიობა. იგი „უკრავდა ბარბითსა, სპინეტსა, ებანსა, ცხრასარკველიან გერმანულ ფლეიტასა, ვიოლასა და ტრომბონსა". „მუსიკალური პაუზის" შემდეგ „სამიოდ საათსა თავის უმთავრეს სამეცადინოსა მეცადინეობდა, ესე იგი, იმ დილანდელ კითხვისა გაკვეთილსა იმეორებდა, კვლავ კითხულობდა და ანტიკურ, თუ ახალრომაულ ასოთა ლამაზად და სწორად გამოყანასა სწავლობდა". მეცადინეობას რომ მორჩებოდნენ, გიმნასტის ხელმძღვანელობით გარგანტუა ფიზიკურ წრთობას გადიოდა. ხან აღკაზმულ ტაიეზე ამხედრებული ვარჯიშობდა, „უკეთუ ჯირითსა ვიტყვით, ანდა ცხენგალეობასა, გარგანტუას ბადალი არა ჰყავდა..."

გარგანტუა ნადირობაშიც უბადლო იყო. „ნადირობითა ცხენდაცხენ ნადირობდა ირემზედ, შველზედ, დათვზედ, ქურციკზედ, ტახზედ, კურდღელზედ, კაკაბზედ, ხოხობზედ, სავათზედ, თუ არა და ბურთაობდა. შეისროდა ტოტოჩინა ბურთსა, ფეხსა გაჰკრავდა, ან მუშტსა ამოჰკრავდა, ჰიდაობდა, რბოდა, ხტოდა..." არც ცურვაში ჩამოუვარდებოდა ვინმეს. აქაც აქტიურად ვარჯიშობდა იგი. „ცურაობითა ღრმაში ცურაობდა პირდაღმა, გულაღმა, მხართეძოზედ წამოწოლილი... სენას ხელწიგნიანი გადაცურავდა და... ერთი ფურცელიც არ დაუსველდებოდა"... „ხომალდზეც ცალი ხელით აებღოტებოდა..." „ცალი ხელითა აფლეთნსა მართავდა, მეორეთი უშველებელ ნიჩაბს უსვამდა... ბულინსა ქარისა წინააღმდგომ ატრიალებდა, საქე უცთომლად ეპყრა".

სპორტის ყველა სახეობებში გამორჩეული გარგანტუა „იდგა და ტყორცნიდა ხელშუბსა, რკინის ძელსა, ლოდიანსა, ოროლასა, ზუფინსა, წათსა; მშვილდისარს წამზედ მოზიდიდა, საალყო სამალსა მარტო გამართავდა". ცადაწვდილ კოშკზედ ჩამობმულ ბაგირზე აცოცდებოდა„ ისევ მარჯვედ ჩამოხტებოდა.

„ხესა და ხეს შუა ვეება კოჟსა გასდებდნენ. ჩაავლებდა ხელთ იგი, ზედ ჩამოეკიდებოდა და ფეხებჩამოკონწიალებული შურდულივით გადი-გამოდიოდა წინ და უკან, სიმარდეში მჯობნელი არა ჰყავდა..." „ძელობანაში უპირველეს ფალავანთ ერკინებოდა..."

„შემდგომად ესევითარი სწავლა-ვარჯიშისა უნდა დაეზილათ, გაეღვრიჟათ, ტანთ სამოსი გამოეცვალათ". „უკვე

შინმოსულნი, ვინემ სადილისა მოლოდინში იყვნენ, ჯერეთ წაკითხულსა რასმე გაიმეორებდნენ და მერმე მიუსხდებოდნენ სუფრასა".

„სერისა კუდზედ კვალად განაახლებდნენ სამხრისჟამინდელ გაკვეთილსა, და, ვიდრე არ გაბეზრდებოდნენ, თავსა არ გაანებებდნენ". სამადლობელ ლოცვას რომ წარმოთქვამდნენ, წავიდოდნენ და ეწვეოდნენ მეცნავ-მეცნიერთ, ანდა მოგზაურთ, რომელთაც უცხო მხარე მოეხილათ."

„უკუნ ღამეში, სანამ დაიძინებდნენ, გავიდოდნენ ყოვლისა უფრორე საბუსუნო ადგილასა და ცასა გახედავდნენ, უთვალთვალებდნენ კუდიან ვარსკვლავებს, უკეთუ სადმე ჩანდნენ, ანდა მთიებთა მდებარეობასა, განლაგებასა, პირისპირ დგომასა და თანამთხვევასა აკვირდებოდნენ".

„შემდგომ გარგანტუა მოძღვარსა თვისას პითაგორელთა მოკლედ უამბობდა, რაც კი რამ იმა დღესა ენახა, შეეტყო, ეჭმნა და გაეგონა".

„მას უკანითა მოქმედ ღმერთსა ლოცვასა და სიყვარულს აღუვლენდნენ, რწმენასა განიძლიერებდნენ, განადიდებდნენ უსასრულო წყალობასა უფლისასა, გარდასულისა გამო მადლსა შესწირავდნენ და მომავალსაცა ღვთისავე სახიერებასა მიანდობდნენ"."

აღზრდის საწყის ეტაპზე რაბლე გვთავაზობს ბავშვის შესწავლის ინსტრუქციას, როგორიცაა: აღსაზრდელის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურების, მისი მომზადების და განვითარების დონის დადგენა; იდეალურისა და რეალურის შედარების მეთოდით ბავშვის დარწმუნება მიღწეულსა და მისაღწევს შორის არსებული განსხვავების დაძლევის შესაძლებლობასა და აუცილებლობაში; სამოქმედო გეგმის, პროგრამისა და დღის რეჟიმის შედგენა.

საშინაო აღზრდის ამ ერთი დღის რეჟიმიდან გამომდინარე რაბლესეული პედაგოგიურ ღონისძიებათა სისტემა შეიძლება წარმოვიდგინოთ ასეთი სახით:

1. დილით, ადგომისთანავე საღვთო წერილის (ბიბლიის) წაკითხვა;

2. დილის ტუალეტი და პარალელურად წინა მასალის გამეორება;
3. ბუნებაზე დაკვირვება, მონაცემების დაფიქსირება და ანალიზი;
4. ახალი მასალის ახსნა (მოწვეული მასწავლებლის მეშვეობით), გაკვეთილი;
5. ტანვარჯიში და პარალელურად ახალმოსმენილი მასალის განმტკიცება;
6. სადილი (აქტიურ-შემეცნებითი);
7. დასვენება;
8. მეცადინეობა. განმეორება-ვარჯიში;
9. გამაჯანსაღებელ-სანიტარულ-ჰიგიენური პროცედურა;
10. ლოცვა;
11. დიდაქტიკური თამაში;
12. მუსიკალური გართობა;
13. გაკვეთილის მომზადება (წერა-კითხვა);
14. ფიზიკური ვარჯიში, სპორტული თამაშობანი: ჯირითი, ნადირობა, ცურვა.
15. ვახშამი;
16. გაკვეთილის მომზადების დასრულება;
17. ისევ ბუნებაში გასვლა. დაკვირვება, ღამის მონაცვლეობის დაფიქსირება;
18. ტკბილი ძილი.

ფრანსუა რაბლეს პედაგოგიურ დებულებებს ოჯახური აღზრდის შესახებ ოთხი საუკუნის შემდეგაც ყველი არ გასვლია. მის შემოქმედებითად ათვისება და მოცემულ სიტუაციაში დროისა და სივრცის გათვალისწინებით გამოყენება უნაყოფოდ არ ჩაივლიდა.

ოჯახური აღზრდის პრობლემას განსაკუთრებული ადგილი უკავია ი.ა. კომენსკის „დიდ დიდაქტიკაში". სკოლამდელი აღზრდის მიზანი, ამოცანები, შინაარსი, პრინციპები და მეთოდები ლაკონურად, სხარტად და ნათლადაა ჩამოყალი-

ბებული მის „დედობრივი სკოლის იდეაში". კომენსკის აზრით, როგორც „პირველი წლების განმავლობაში ხის ღერო მაშინვე გამოიღებს ხოლმე ყველა მთავარ ტოტს, რომლებიც შემდეგ მხოლოდ იზრდება", ასევეა ბავშვებშიც. პირველ წლებშივე „უნდა ვასწავლოთ ყველაფერი, რაც მას სარგებლობას მოუტანს მთელი ცხოვრების განმავლობაში"[12]. ხელს შეუწყობს სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებაში. ბავშვის აღზრდას დედობრივ სკოლაშიც, ე.ი. ოჯახშიც, კომენსკი სწავლებისა და აღზრდის ერთიანობის პრინციპზე აგებს. იგი მოითხოვს გარე სამყაროს შესახებ ბავშვისთვის ინფორმაციების მიწოდებას გრძნობის სახეობათა შესაბამისად. მეცნიერს სრულიად დასაშვებად, უფრო მეტიც, აუცილებლად მიაჩნია სხვადასხვა მეცნიერებათა ზოგადი საფუძვლების ელემენტების ათვისება ბავშვზე სპეციალური პედაგოგიური ზემოქმედების გზით. პირველი ექვსი წლის განმავლობაში — წერს კამენსკი — ბავშვმა შეიძლება მიიღოს გარკვეული ცოდნა ბუნებისმეტყველებაში, ფიზიკასა და ოპტიკაში, ასტრონომიასა და გეოგრაფიაში, ისტორია-ქრონოლოგიასა და არითმეტიკა-გეომეტრიაში, სტატისტიკაში, მექანიკასა და დიალექტიკაში, გრამატიკასა და რიტორიკაში, პოეზიასა და მუსიკაში, მეურნეობაში, პოლიტიკასა და ზნეობაში, რელიგიაში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ბავშვმა იცოდეს თუ რა არის მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი, წვიმა, თოვლი, ყინვა, ქვა, რკინა, ხე, ბალახი, ფრინველი, ცხოველი, თევზი და სხვა.

ბავშვი ოპტიკის საფუძვლებს ეცნობა სიბნელის, სინათლის, ჩრდილის, აგრეთვე ფერების გარჩევით; ასტრონომიულ ელემენტებს კი იმის გარკვევით, თუ რას ნიშნავს ცა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები; მთის, მინდორის, ვაკის, მდინარის, სოფლის, ციხე-სიმაგრის, ქალაქისა და მისთანათა შესწავლით ბავშვი იღებს გეოგრაფიული ელემენტების ცოდნას.

ქრონოლოგიურ აზროვნებას საფუძველი ეყრება მაშინ, როცა აღსაზრდელს ასწავლიან თუ რას ეწოდება საათი, დღე, კვირა, თვე, წელიწადი, ან კიდევ, წელიწადის დროები. ისტორიის საწყის საფუძვლებს სწავლობს ბავშვი უკვე მომხდარის, გარდასულის მოგონებებით. არითმეტიკისა და გეომეტრიის ელემენტების შემეცნებას კი იწყებს თვლით, მეტობა-ნაკლებობის შემჩნევით; როცა იცის, თუ რას ეწოდება დიდი და პატარა, გრძელი და მოკლე, ფართო და ვიწრო, სქელი და თხელი; საზომი ერთეული: მტკაველი, წყრთა, საჟენი და სხვა. სტატისტიკისა და მექანიკის საფუძვლებს იცნობიერებს ბავშვი — გადმოტანის, მოწესრიგების, აშენების, ნგრევის პროცესში. ამიტომ ურჩევს კომენსკი აღმზრდელებს, არ დაუშალონ ბავშვებს ამგვარი მოძრაობა. რამეთუ ასეთი საქმიანობა „სხვა არაფერია, თუ არა ნიჭიერი ბუნების მისწრაფება ხელოვნურად შექმნას საგნები", რასაც სჭირდება კომენსკის აზრით, წახალისება და ხელმძღვანელობა.

დიალექტიკურ აზროვნებას საფუძველი ეყრება კითხვა-პასუხების დასმა-გაცემის დროს. ხოლო გრამატიკის საწყისებს ეჩვევა ბავშვი, როცა იწყებს დედაენაზე სწორად ლაპარაკს.

რაც შეეხება რიტორიკის, პოეზიისა და მუსიკის ელემენტების შეთვისებას, იგი მას იწყებს შესაბამისი ინტონაციითა და ექსტიკულაციით ლამაზად, სწორად წარმოთქმით, ლექსების, საგალობლებ-ფსალმუნებისა და საღვთო ჰიმნების შესწავლით.

სამეურნეო ცოდნის ელემენტებს იძენს ბავშვი ოჯახის წევრების, სახლის არქიტექტურული განლაგების, საოჯახო ნივთების შემეცნებით.

პოლიტიკური ცოდნის საწყისებსაც კი სწავლობს ბავშვი, როცა იგებს თუ ვის ეწოდება ქალაქის მერი, სენატორი, მოსამართლე, ნოტარიუსი და სხვა.

კომენსკი რელიგიას (ქრისტიანულ მორალს) განიხილავს როგორც ზნეობრივი აღზრდის საფუძველს. იგი ასახელებს ზნეობის შინაარსს, რომელიც აუცილებლად უნდა ისწავლოს

ბავშვმა ოჯახში ექვსი წლის განმავლობაში. მაგალითად: ზომიერება, სისუფთავე, პატივისცემა უფროსებისადმი, გულმართლობა, სამართლიანობა, ღვთისა და მოყვასის სიყვარული, შრომა, მოთმინება, თავზიანობა, ზრდილობა; ,,ბავშვი უნდა განიმსჭვალოს ღვთაების გრძნობით, ყოველგან გრძნობდეს ღვთის არსებობას, ეშინოდეს მისი, როგორც ბოროტების ყოვლად სამართლიანი დამსჯელისა, და არ ჩაიდინოს არავითარი ბოროტება, ხოლო მეორე მხრივ, უყვარდეს ღმერთი, როგორც ყოვლად მოწყალე არსება, რომელიც კეთილმყოფელთ აჯილდოებს; თაყვანს სცემდეს მას, ეეედრებოდეს და ადიდებდეს''[13].

კომენსკის მიხედვით, სისტემატიურობისა და თანმიმდევრობის პედაგოგიური პრინციპით ბავშვის გონების გახსნას, ჭეშმარიტი შემეცნებით მის სულიერ გამდიდრებას ის სარგებლობა მოაქვს, რაც მახარობელმა სთქვა ქრისტეზე, რომ მან განსწავლით მიაღწია სიბრძნეს და ასაკს და სიყვარულს ღვთისა და ადამიანთა წინაშე. ,,იესოს ემატებოდა სიბრძნე და ასაკი, და მადლი ღმერთთან და კაცთან''[14].

ბავშვის ადრეული ასაკიდანვე ოჯახში სკოლისათვის მომზადების პედაგოგიური მნიშვნელობის დასაბუთებით, კომენსკიმ სკოლამდელი აღზრდის კვინტილიანესეული იდეის ჭეშმარიტებაც წარმოაჩინა და თავისი დროის მოთხოვნებსაც მარჯვედ და მორგებულად უპასუხა; ასევე თავისი ,,დიდი დიდაქტიკის'' არსის გახსნაშიც საჭირო სინათლე შეიტანა.

კომენსკი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საოჯახო აღზრდის პროგრამის შედგენით არ დაკმაყოფილებულა. მან განიზრახა მშობლებისა და ძიძების პედაგოგიური კულტურის დონის ამაღლების მიზნით სპეციალური სახელმძღვანელოების შექმნა, რომელიც დაეხმარება მათ თავიანთი მოვალეობის გარკვევაში. დაწვრილებით იქნებოდა ,,აღწერილი ყველაფერი ის, რაც აუცილებლად უნდა ვასწავლოთ ბავშვს: რა დროს რა უნდა ისწავლებოდეს, რა სახით, რა გამოთქმებისა და ჟესტების საშუალებით''[15].

მეორე წიგნი კი განკუთვნილი იყო ბავშვებისათვის მათი გრძნობათა გაღიძების მიზნით. სურათებიანი წიგნი ,,რომელიც ხელს შეუწყობს ვარჯიშობას დედობრივ სკოლაში'', გრძნობის ორგანოების განვითარებას. კომენსკი გრძნობის ორგანოთა შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მხედველობას. ამიტომ ,,სრულიად მიზანშეწონილი იქნება, თუ ამ წიგნში შევიტანთ ელემენტარულ ცნობებს ფიზიკიდან, ოპტიკიდან, ასტრონომიიდან, გეომეტრიიდან და სხვა... წიგნში შეიძლება მოვთავსოთ შემდეგი სურათები: მთა, ველი, ხე, ფრინველი, თევზი, ცხენი, ხარი, ცხვარი, სხვადასხვა ასაკისა და ტანის ადამიანი. აგრეთვე სინათლე და სიბნელე; ცა მზით, მთვარით, ვარსკვლავებით და ღრუბლებით. მთავარი ფერები; საოჯახო ნივთები და სხვადასხვაგვარი ხელსაწყო: ქოთნები, სინები, ტოლჩები, ჩაქუჩები, გაზები და სხვ.; წარჩინებულ პირთა სურათები, როგორც, მაგალითად, მეფე გვირგვინითა და სკიპტრით, აგრეთვე გლეხი გუთნით, მეეტლე ფორანით, ფოსტალიონი. სურათზე უნდა იყოს წარწერა, თუ რა არის ეს საგანი, მაგალითად: ცხენი, ხარი, ძაღლი, ხე და სხვა''[16].

იქვე უთითებს მეცნიერი, თუ რა სარგებლობა მოაქვს ასეთ წიგნს: შთაბეჭდილების გაძლიერება, წერა-კითხვის შესწავლის გაადვილება სკოლაში.

კომენსკი, ბავშვის ბუნების, მისი გონებრივი შესაძლებლობების დახასიათებისას მიმართავს შედარების მეთოდს. იგი ჩვილს ადარებს თესლს, ან მარცვალს, რომელშიც არ ჩანს იმ მცენარის ფორმა, რომლის თესლიცაა იგი, მაგრამ ეს მცენარე მასში ნამდვილად არსებობს. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ნაწყვეტს, რომელშიც კომენსკი იძლევა მნიშვნელოვან მაგალითს ბავშვის პიროვნებად ფორმირების პოტენციალური შესაძლებლობისა: ,,ფილოსოფოსები ადამიანს უწოდებენ მიკროკოსმოსს (მცირე სამყაროს''), რომელიც შეიცავს შეკვეცილი სახით ყველაფერს, რაც ფართოდ გაშლილი

გვეელინება მაკროკოსმოსში; რომ ეს ასეა, დამტკიცებულია სხვა ადგილას. ამნაირად ადამიანის გონება, რომელიც ამ ქვეყნად შემოდის, ყველაზე უფრო შეედრება თესლს, ან მარცვალს, რომელშიაც, თუმცა ბალახის, ან ხის ფორმა აშკარად არაა მოცემული, მაინც ბალახი, ან ხე მასში ნამდვილად არსებობს; ეს ნათელი ხდება მაშინ, როდესაც მიწაში ჩადებული თესლი ქვევით უშვებს ფესვებს, ხოლო ზევით კი ყლორტებს, რომელიც თანდაყოლილი ძალის მეოხებით შემდეგ გადაიქცევიან შტოებად და ტოტებად, შეიმოსებიან ფოთლებით და შემდეგ მოირთვებიან ყვავილებითა და ნაყოფით. მაშასადამე, ადამიანში გარედან არაფერია შესატანი, არამედ ის ჩანასახები, რაც თვით მასში მოცემულია, უნდა განვითარდეს, გაიშალოს და ყოველივეს მნიშვნელობა ცალკე იყოს ნაჩვენები. ამიტომაა, რომ პითაგორე ხშირად ამბობდა, იმდენად ბუნებრივია ადამიანმა ყველაფერი იცოდეს, რომ შვიდი წლის ბავშვსაც რომ გონივრულად შეეკითხო მთელი ფილოსოფიის საკითხებზე, ის შეძლებდა ყველაფერზე გონივრული პასუხი გაეცა, რასაკვირველია იმიტომ, რომ გონების მარტოოდენ შუქიც კი წარმოადგენს საკმარის ფორმასა და ნორმას ყველა საგნისას. მხოლოდ ახლა, შეცოდების შემდეგ გონება აბნელებს თავის თავს და ბორკავს, არ იცის, როგორ განითავისუფლოს თავი; ისინი კი, ვისაც უნდა განეთავისუფლებია იგი, უფრო უხლართავენ მას გზას.

გარდა ამისა, ჩვენს შიგნით არსებულ გონიერ სულს მოცემული აქვს, როგორც მსტოვარნი და მზვერავნი, გრძნობების ორგანოები, რომელთა მეოხებით ის წვდება იმას, რაც მის გარეთ არის: მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემო და შეხება ისე, რომ მას ვერც ერთი ქმნილებათაგანი ვერსად ვერ დაემალება. და, რადგან ხილულ მსოფლიოს არაფერი აქვს ისეთი, რის ან ხილვა, ან მოსმენა, ან შეყნოსვა, ან გემოთი გაცნობა, ან შეხება არ შეიძლებოდეს და ამით იმის

შეცნობა, თუ რა არის ის და როგორია, ამიტომ არაფერია მსოფლიოში ისეთი, რომლის ჩაწვდომა ადამიანს, აღჭურვილს გრძნობითა და გონებით არ შეეძლოს"[17].

კომენსკი ანვითარებს ტრადიციულ აზრს, რომ ადამიანს ბუნებით აქვს ცოდნის წყურვილი და შრომისაკენ მისწრაფება, რომ გრძნობის ორგანოები საზრდოს ეძებენ და სამყაროსკენ მიისწრაფიან, შემეცნების უნარით აღჭურვილნი. შემდეგ კომენსკი მხატვრულად ასკვნის: ,,ადამიანში, მართლაც, ყველაფერია მოცემული: ლამპარიც, სანთელიც, ზეთიც, კვესიც — ყოველივე თავისი მოწყობილობით. ოღონდ იცოდეს ცეცხლის აგზნება, მისი მოკიდება, სანათურის ანთება. და, ის, როგორც თავის არსებაში, ისე დიდ მსოფლიოში, მეტად სასიამოვნო სანახაობას დაინახავს მაშინვე..."[18].

ოჯახური აღზრდის პრობლემას ჯონ ლოკმა განსაკუთრებული ადგილი დაუთმო მის პედაგოგიურ მოძღვრებაში. თავისი დროის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებით გულგატეხილი ჯონ ლოკი საშინაო — ინდივიდუალურ აღზრდას ანიჭებდა უპირატესობას. მისი აზრით, სხვადასხვა ოჯახიდან მოსულ ბავშვებს განსხვავებული თავისებურებების გამო შეუძლიათ არასახარბიელო ურთიერთგავლენა გამოიწვიონ. ოჯახს, — განაგრძობს ლოკი — თავისი ნაკლიც ყოფნის, სხვისიც არ დაიმატოს. მაგრამ ოჯახი სხვათა უზნეობისაგან თავდაცვის გარკვეულ გარანტს იძლევაო.

ჯ. ლოკი იზიარებს წინამორბედთა პედაგოგიურ შეხედულებებს ადრეული ასაკიდანვე ბავშვის აღზრდისადმი სერიოზული დამოკიდებულების აუცილებლობის შესახებ. იგი წერს: აღზრდა ადრეული ასაკიდანვე უნდა იქნეს დაწყებული, რადგან ,,ბავშვის სული ისე ადვილად შეიძლება წარიმართოს გარკვეული მიმართულებით, როგორც წყაროს წყალი"[19].

ჯ. ლოკის აღზრდის მიზანი კერძოდ ჯენტლმენის ფორმირებაა, რომელსაც უნდა ახასიათებდეს სულიერება (ღმერთის

რწმენა), ფიზიკური სიჯანსაღე, გონებრივი ბრწყინვალება, ზნეობრივი სიწმინდე. ყველა ამ თვისებებს, ლოკის აზრით, ბავშვობიდანვე უნდა ჩაეყაროს საფუძველი ოჯახში მშობლების, ძიძისა და მასწავლებლის ხელმძღვანელობით. ასევე ბავშვობიდანვე უნდა დაეუფლონ ოჯახურ საქმიანობას და მიიღონ რაიმე ხელობა აუცილებლად. შრომითი აღზრდის მიზნად ლოკის შრომისმოყვარეობის გამომუშავება მიაჩნია.

ლოკის მიხედვით, დადებითი ჩვევების აღზრდა და განმტკიცება უნდა მიმდინარეობდეს სიცოცხლის დასაწყისიდანვე სწავლებისა და პრაქტიკული გამოცდილების გზით. „თუ თქვენ თვლით, რომ აუცილებელია ისინი (ბავშვები — *გ.ბ.*) მიაჩვიოთ რაიმეს, დაფუძნეთ იგი ყოველთვის პრაქტიკას და, თუ შესაძლებელია თავად მოაწყეთ საამისო სიტუაცია“.

ჯონ ლოკი ამოდის რა სენსუალიზმის კანონიდან, იზიარებს წინამორბედთა აზრს იმის შესახებ, რომ არაფერია ცნობიერებაში, რაც არ გვქონია შეგრძნებაში, რომ ბავშვის სული ჰგავს სუფთა დაფას გარესამყაროს შესახებ ინფორმაციების მისაღებად გამზადებულს. მასზე ფიქსირდება ის, რასაც შეიგრძნობს ბავშვი გრძნობის ორგანოების საშუალებით. ამიტომ ჯ. ლოკი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოწესრიგებულ გარემოს, მშობლების, აღმზრდელისა და მასწავლებლის კულტურულ დონეს. რომ ისინი აუცილებლად უნდა წარმოადგენდნენ იდეალურ ნიმუშს, მაგალითს მიბაძვისათვის. „ბავშვებს უნდა უელიდნენ მხოლოდ და მხოლოდ კეთილგონიერი ადამიანები.“[20].

ჯ. ლოკი ბავშვს დაუმუშავებელ ალმაზს (ბრილიანტი) ადარებს. იგი წერს: „არავინ ისურვებდა ეგზომ სანატრელ ბრილიანტის ტარებას დაუმუშავებლად. ის ხომ მაშინ ბრწყინავს მხოლოდ, როცა გათლილ-გაპრიალებულია და ჩარჩოშია ჩასმული“[21]. ასეევა ბავშვი. „მას აღზრდა სვამს ჩარჩოში“[22].

ჯ. ლოკი აღზრდის უმთავრეს კომპონენტად ზნეობრივ

აღზრდას თვლის, რომელსაც მისი აზრით, ადრეულ ასაკშივე ოჯახში უნდა ჩაეყაროს საფუძველი.

პირადი მაგალითის აღმზრდელობითი გავლენის გათვალისწინების აუცილებლობასთან დაკავშირებით ჯ. ლოკი წერს: „თქვენ არაფერი არ უნდა გააკეთოთ ისეთი, რაშიც არ გინდათ ბავშვმა მოგბაძოს, თუ თქვენ თავს მისცემთ უფლებას ჩაიდინოთ ისეთი რამ, რისთვისაც დაადანაშაულებდით ბავშვს, ის აუცილებლად ამოეფარება თქვენს მაგალითს და შეუვალი იქნება ის, როცა თქვენ მოინდომებთ ამისთვის მის დასჯას.“[23]. ან კიდევ: „თუ დასჯით მათ იმისათვის, რასაც თვითონ აკეთებთ მის თვალწინ, ის არ ირწმუნებს მისადმი თქვენს კეთილდამოკიდებულებას“. ბავშვის დასჯის ერთადერთ მიზეზად ჯ. ლოკი თვლის ჯიუტობასა და დემონსტრაციულ დაუმორჩილებლობას. „როცა კარგად ასწავლით — წერს ლოკი — დასჯაც არ იქნება საჭირო“.

ბავშვები დესპოტურ ჩვევებს, ლოკის აზრით, იძენენ გარემოდან. როცა ხედავენ, რომ უფროსები ძალადობენ, უხეშობენ — სისასტიკე ნორმად აღიქმება ბავშვების მიერ. „ისე შეუმჩნეველად და ღრმად არაფერი აღწევს ბავშვის სულში, როგორც თვალსაჩინო მაგალითი.“[24].

ჯ. ლოკი წერს, რომ ბავშვთა ურთიერთობას ოჯახში მკაცრად უნდა ვადევნოთ თვალ-ყური და არ დაეუშვათ სამართლიანობიდან გადახვევის არც ერთი შემთხვევა, უნებლიე შეცდომებიც კი დაუყოვნებლივ გავასწოროთ: „სიძუნწე და იმაზე მეტის მოპოვებისა და დაუფლების სურვილი, რაც ჩვენ გვჭირდება, არის ყველა ბოროტების სათავე და ამ თვისებათა განვითარება არ უნდა ღაეუშვათ ბავშვობის ასაკიდანვე. პირიქით, წავახალისოთ უნდა ისინი იმისათვის, რომ თავიანთი ნებით გაუნაწილონ სხვებს, რაც მათ აქვთ“. ყველაფერი, რასაც აკეთებენ ბავშვები ამ ნაზ ასაკში ღრმად აღიბეჭდება მათ სულში, შემდეგ აქედან უნვითარდებათ მიდრეკილება სიკეთისა და ბოროტებისადმი“.

აღზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ლოკს მიაჩნია მაგალითი, გარემო, ის, რაც ბავშვის გარშემოა: „ჩათვალეთ აბსოლუტურ ჭეშმარიტებად, — წერს იგი — რომ უდიდესი ზეგავლენის ძალა გააჩნია იმ კომპანიას, რომელშიც იგი იმყოფება, იმათ ქცევას, ვისთანაც დადის.“

ჯ. ლოკი არც ესთეტიკურ აღზრდას იგნორებს. იგი აყენებს საკითხს ბავშვის სულის ბუნებრივ მდგომარეობასთან, ხასიათის შინაგან თვისებებთან ჯენტლმენის ქცევისა და მოქმედების მანერების, გრაციოზულობის, ჩვევების შესაბამისობის აუცილებლობის შესახებ. „გრაცია — წერს ლოკი — წარმოსდგება სრულყოფილ ქცევებსა და ასეთივე სულიერ მდგომარეობას შორის სრულ შესატყვისობაში[25].

ლოკის იდეალია თავისუფალი, ჰუმანური, მეგობრული, თავაზიანი, საკუთარ თავს რომ ფლობს ისეთი ნატურა, რომლის ქცევა და მოქმედება ბუნებრივად მიმდინარეობს ნაზი და კეთილი სულისგან და არაფერია „ნაძალადევი, მოჩვენებითი, დაზეპირებული და ხელოვნური. ამაშია ის სილამაზე და ბრწყინვალება“, რითაც გამოირჩევიან აღზრდილი ადამიანები — წერს ლოკი.

მეცნიერი განაგრძობს მსჯელობას ამ მიზნის მისაღწევ საშუალებათა შესახებ. განსაკუთრებით გამოყოფს აღზრდის პრინციპებისა და მეთოდების სწორად შერჩევისა და ურთიერთშეთანხმების აუცილებლობის საკითხს; იგი ხაზს უსვამს ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მომთხოვნელობის, დადებითზე დაყრდნობის, სიყვარულისა და პატივისცემის, სისტემატიურობისა და თანმიმდევრობის პრინციპთა დიდ მნიშვნელობას. „ვისაც საქმე აღზრდასთან აქვს, აუცილებელია სწავლობდეს ბავშვის ნატურას, მის უნარებს, მის მოქმედებებზე დაკვირვების გზით ავლენდეს მის ბუნებრივ მონაცემებს, მიდრეკილებებს, თუ რა უხდებათ და როგორ შეიძლება მისი განვითარება — სრულყოფა, რაში გამოდგებიან ისინი“;

„ბუნებრივი მონაცემების განვითარების შესაძლებელ ზღვარს გადაცილება, აღზრდის არაბუნებრივი გზით წარმართვის მცდელობა უშედეგო იქნება“.

ჯ. ლოკის აზრით, უშედეგოა გაუგებარი წესებისა და ნორმების ჭარბად დამახსოვრება; აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს მოთხოვნის შესრულების რეალური შესაძლებლობა. „მოქმედებისა და ქცევის წესების შესრულებაში მანამდე უნდა ვავარჯიშოთ, სანამ არ მიაღწევს იგი სრულყოფას, რომლის შემდეგ ის იქცევა მის ბუნებრივ მოძრაობად, როგორც სუნთქვა“. წესები უნდა შეითვისონ პრაქტიკული გამოცდილებით. „როცა თქვენს ბავშვს ავარჯიშებთ იმ ქცევებში, რომელიც მის ჩვევად უნდა იქცეს, მიმართეთ მოფერებით, ისე თითქოს მას ახსენებთ დავიწყებულს“... „ნუ მოინდომებთ ერთბაშად რამდენიმე ჩვევების სწავლებას, თორემ ვერც ერთს ვერ შეითვისებს რიგიანად“; „მას შემდეგ, როცა ერთი წეს-ჩვეულება განმტკიცდა მის მეხსიერებაში პრაქტიკის შედეგად, შემდეგ შეიძლება ახალი წესების სწავლების დაწყება“; პრაქტიკული მეთოდი იძლევა საშუალებას ბავშვის შესაძლებლობების, მისი უნარების დადგენისა.

როგორც ვხედავთ, ჯონ ლოკის პედაგოგიკაც სწავლებისა და აღზრდის ერთიანობისა და უწყვეტობის პრინციპზეა აგებული, რომელიც სათავეს იღებს ბავშვის დაბადებიდან და გრძელდება მის სრულყოფამდე.

ოჯახური აღზრდის თეორიას თავისებური ინტერპრეტაცია მისცა და განავითარა მე-18 ს. ფრანგმა განმანათლებელმა ჟან-ჟაკ რუსომ. მან აღზრდის მთავარ ფიგურად გამოაცხადა დედა: „Нет матери, нет и ребенка!“ იგი ბავშვის დაბადებიდან 2 წლამდე ასაკს ფიზიკური აღზრდის პერიოდად თვლიდა, რომლის შესახებ მოგვცა რიგი კონკრეტული მითითებები: კვების, ჰიგიენის, წრთობის შესახებ. „მიაჩვიეთ— წერს იგი — ბავშვები გამოცდებს... გაწვრთენით მათი

სხეული უამინდობის, კლიმატის, სტიქიის, შიმშილის, წყურვილის, დაღლილობის წინააღმდეგ".

ჟან-ჟაკ რუსო როგორც სენსუალისტი, სენსორულ აღზრდას ანიჭებდა უპირატესობას ორი წლიდან 12 წლამდე. იგი აზროვნების საფუძვლად კონკრეტულ განჭვრეტას ხედავდა: ,,ყველაფერი, რასაც მოიცავს ადამიანური აზროვნება ცნობიერებაში აღწევს გრძნობათა მეშვეობით. ამიტომ — განაგრძობს რუსო — რომ ვისწავლოთ აზროვნება, საჭიროა თანმიმდევრულად ვავარჯიშოთ ჩვენი გრძნობის ორგანოები (მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემო, შეხება), რომლებიც წარმოადგენს ჩვენი გონების იარაღებს". აქედან გამომდინარე, ჟ.ჟ. რუსო მოითხოვდა ისეთი პედაგოგიური პირობების შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობდა ბავშვის მრავალმხრივ და ინტენსიურ აქტივობას, გარესინამდვილესთან მიზანმიმართულ შემეცნებით კავშირს.

ბავშვის გონებას ამდიდრებს ის, — წერს ჟ.ჟ. რუსო — რასაც ხედავს და ესმის, რასაც შეიგრძნობს სხვადასხვა გრძნობის ორგანოებით.

ამდენად ,,საღი გონება დანარჩენ გრძნობათა ორგანოების კარგად მოწესრიგებული ხმარების შედეგია და გვაძლევს ცნობას საგანთა ბუნების შესახებ"... ,,ამიტომ ამ მეექვსე გრძნობას (გონებას — *გ.ბ.*) საკუთარი ორგანო არ გააჩნია."[27]

ჟ.ჟ. რუსოს ადრეულ ასაკში აღზრდის ეფექტურ საშუალებად თამაში მიაჩნია. იგი კონკრეტულად აღწერს თამაშის სახეობებსა და მეთოდიკას. მაგალითად, სიბნელის შიშის დასაძლევი თამაშობანი, რომელიც რუსომ აღწერა თავის ხუთწიგნიან ტრაქტატში ,,ემილი, ანუ აღზრდის შესახებ" დღესაც გაუხუნარია. ასევე — გეომეტრიული ფიგურების გამოცნობა — ზომები, ფორმები.....; სირბილის სწავლება დაინტერესებით; თავდაცვითი (წინააღმდეგობრივი) თამაშობანი და ა.შ.

ჟ.ჟ. რუსო ბავშვის მეტყველებისათვის ზრუნვას მოითხოვს

2 წლიდან. ისიც, კვინტილიანეს მსგავსად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სადა, ნათელ მეტყველებას, კარგ არტიკულაციას, ზუსტი და უაფექტაციო გამოთქმას. როგორც კვინტილიანე, ჟ.ჟ. რუსოსაც მუსიკა მიაჩნია ხმისა და სმენის განმავითარებელ საშუალებად. ამიტომ მოითხოვს იგი ნაზი, მელოდიური, რიტმული სიმღერების მოსმენის აუცილებლობას და არა მარტო მოსმენის, ამასთანავე სიმღერის სწავლებას სიმღერით.

ჟ.ჟ. რუსოს პედაგოგიკას წითელი ზოლივით გასდევს თავისუფალი აღზრდის იდეა, რაც გულისხმობს ბავშვის ბუნებასთან აღზრდის შესაბამისობას და არა განუკითხაობასა და ქაოსს. იგი ნებაყოფილობითობის, არჩევანისა და ინიციატივის პედაგოგიურ პრინციპებს ანიჭებს უპირატესობას აღზრდაში.

რუსო იძლევა დიდებულ პედაგოგიურ რეკომენდაციას არჩევანის ვარიანტულობის შესახებ. ე.ი. მოთხოვნათა ვარიანტების ისე შედგენას, რომ ბავშვმა რომელიც არ უნდა აირჩიოს, ყველა მისაღები და საჭირო იქნება. არჩევანის უფლება კი ბავშვს თავისუფლების შეგრძნებას შეუქმნის.

ჟ.ჟ. რუსოს მიხედვით, ბავშვს ზოგჯერ შეცდომის საშუალებაც უნდა მიეცეს, რათა თავად იგემოს მისი მწარე შედეგი, ისწავლოს როგორც სხვის, ასე საკუთარ შეცდომებზე. რაც შეეხება დასჯას, რუსოს მიხედვით, ,,სასჯელი ბავშვს, როგორც სასჯელი კი არ უნდა დაედოს, არამედ იგი მას უნდა ეელინებოდეს, როგორც მისი ცუდი საქციელის ბუნებრივი შედეგი". ამ რეკომენდაციის არსი ლოგიკით აღზრდაში, ბავშვის მიერ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაგებაში მდგომარეობს.

რუსოს აგრეთვე საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული შრომითი აღზრდის შესახებაც. მისი აზრით, ბავშვი თავიდანვე უნდა მიეჩვიოს იმ აზრს, რომ საკუთარი შრომით უნდა იცხოვროს და არ იყოს სხვაზე დამოკიდებული,

რამეთუ: „შრომა არის საზოგადოების თითოეული წევრის მოვალეობა“[28].

ზნეობრივ აღზრდასთან დაკავშირებით რუსო წერს: „საჭირო არ არის მორალური ქადაგებანი, გაუთავებელი რჩევა-დარიგებანი. თვით აღმზრდელმა უნდა შექმნას ისეთი პირობები და აღსაზრდელებთან დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც გამორიცხავს სიცრუის, მლიქნელობის, ყოყოჩობისა და სხვა უზნეო ქცევების გამოვლინებების შესაძლებლობებს“[29].

მიუხედავად იმისა, რომ რუსოს პედაგოგიურ შეხედულებებში არის საჭიმანო მოსაზრებები, (მაგალითად: ასაკობრივი პერიოდიზაცია, გონებრივი აღზრდის გვიან, ორი წლის ასაკიდან დაწყების და სხვა), მისი დიდებული პედაგოგიური დებულებებისა და რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობა, განსაკუთრებით სკოლამდელ ასაკში საშინაო აღზრდის შესახებ, ყოვლად დაუშვებელია.

შვეიცარიელი პედაგოგი იოჰან პესტალოცი იზიარებდა რა დაბადებიდანვე ბავშვის ჰარმონიული განვითარებისა და აღზრდის პედაგოგიურ იდეას, თავადვე იკვლია და გამოთქვა ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მოსაზრებები. იგი თავიდანვე აყენებდა დემოკრატიულ მოთხოვნებს ყველა ბავშვს, მიუხედავად სოციალური წარმომავლობისა, მისცემოდა ფიზიკური, ზნეობრივი, შრომითი, ესთეტიკური და გონებრივი აღზრდის საშუალება. პედაგოგს განსაკუთრებული ზრუნვის საგნად მიაჩნდა ბავშვის ბუნებრივი ფიზიკური და ფსიქიკური უნარების განვითარების საკითხი, განვითარებისაკენ ჩვილის ბუნებრივი სწრაფვის გათვალისწინებით. იგი წერს: „თვალს უნდა დაინახოს, ყურს — მოისმინოს, ფეხს — იაროს და ხელს — დაიტაცოს; ასევე გულს უნდა სწამდეს და უყვარდეს, გონებას უნდა იაზროვნოს“. აღზრდამ კი ხელი უნდა შეუწყოს ამ ბუნებრივი მოთხოვნილებების განვითარებას შესაბამის სასწავლო-აღმზრდელობით ღონისძიებათა სისტემის მიზანმიმართული და გეგმაზომიერი ზემოქმედებით. ბავშვის აღზრდის პროცესს საფუძველი უნდა ჩაეყაროს მისი სიცოცხლის დასაწყისიდანვე. ოჯახში დედის ხელმძღვანელობით თამაშსა და შრომით საქმიანობაში ბავშვის უშუალო ჩაბმით. მას — წერს პესტალოცი — იმთავითვე თავისი როლი და ფუნქციები უნდა ჰქონდეს ოჯახში მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით. მაგალითად: პირადი ჰიგიენა, ბავშვის დარწევა, უმცროსი დისა თუ ძმისადმი ჩაცმა-დახურვაში მიხმარება, ყვავილების, ცხოველების მოვლა და ა.შ.

პესტალოცის მიხედვით, სწორედ შრომითი აღზრდა უნდა დადგეს საფუძვლად ბავშვის ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებას, მის გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას. მეცნიერი თვლის, რომ დედამ ბავშვს უნდა აღუძრას მისადმი გამოვლენილი მზრუნველობის გამო მადლიერებისა და სიყვარულის, საერთოდ კაცთმოყვარეობის, ჰუმანიზმის გრძნობა.

პესტალოცი ზნეობრივი აღზრდის პრობლემის გადაწყვეტას მის რელიგიურ საფუძვლებში, ყოვლისშემქმნელისა და ყოვლისშემძლე ღმერთის სიყვარულში ხედავდა. ამასვე უკავშირებდა იგი ესთეტიკურ აღზრდასაც. სილამაზისა და სიმშვენიერის კანონებით ცხოვრებისადმი მიდრეკილების გამომუშავება, ქცევასა და მოქმედებაში ჰარმონიის, წესრიგის, სისუფთავის, სიკოხტავის, ზომიერების, ფერებისა და ფორმების შეგრძნებისა და მით სიამოვნებისა და მორალური კმაყოფილების მიღების უნარ-ჩვევების გამომუშავებაში ხედავს პესტალოცი ესთეტიკური აღზრდის დანიშნულებას, რომელსაც საფუძველი უნდა ჩაეყაროს ოჯახში ადრეული ასაკიდანვე.

ბავშვის გონებრივი აღზრდის საფუძვლად პესტალოცი თვლის გარესამყაროზე დაკვირვების, ცოცხალი, კონკრეტული განსჯვრეტით მიღებულ შთაბეჭდილებებს. მეცნიერს მიაჩნია, რომ თვით ეს შთაბეჭდილებები აღძრავს ბავშვში ცოდნის წყურვილს და შექმნის ნიადაგს გონებრივი აღზრდისათვის.

აჩვენებს ბავშვს ბურთებს ფერების გარჩევის უნარის განვითარების მიზნით; შემდეგ ატრიალებს ბურთს და თან წარმოთქვამს მიმართულების აღმნიშვნელ სიტყვებს: „წინ-უკან", „ზევით-ქვევით", „მარჯვნივ-მარცხნივ" სივრცობრივი წარმოდგენების შესაქმნელად. შემდეგ დედა ხელის გულზე იდებს ბურთს, ხელს ხან შლის, ხან მუჭავს და ამბობს: „არის ბურთი — არ არის ბურთი". ამით ბავშვს უმუშავდება მტკიცებისა და უარყოფის უნარები.

თამაშის **მეორე წესი** გულისხმობს ხის სფეროს, კუბიკის, ცილინდრის სათამაშოებს, რომელთა მეშვეობით ბავშვი იცნობიერებს საგნის ფორმებს. ფრებელის მიხედვით, სფერო ასიმბოლოებს „ერთადერთს", მოძრაესა და უსასრულოს, კუბიკი „მრავალფეროვნების ერთიანობას". მაგალითად: კუბიკი ფორმით მრავალნაირია, მაგრამ ყველა კუბიკია. ხოლო ცილინდრი თავის თავში მოიცავს როგორც სფეროს, ასევე კუბიკის თვისებებს.

მესამე წესი: კუბიკი დაყოფილია 8 ნაწილად. იგი განკუთვნილია მთელისა და ნაწილების კომბინირებით ახალი მთელის მიღების შესაძლებლობათა წარმოსახვის უნარის განვითარებისათვის.

მეოთხე წესის მიხედვით კუბიკი დაყოფილია 8 ფილად, რაც მეტ საშუალებას იძლევა კომბინაციებისა.

მეხუთე წესი: კუბიკი 27 ნაწილადაა დაყოფილი პატარ-პატარა კუბიკებად და ფილებად;

მეექვსე წესი: აქაც კუბიკი 27 ნაწილადაა დაყოფილი სწორ და დიაგონალურ ფილებად.

ასეთი თამაშები, ფრებელის აზრით, უზრუნველყოფდა ბავშვში მშენებლობის, ფორმების, ზომების, ფერების, სივრცობრივ და რიცხვობრივ წარმოდგენებს.

ფრებელის სახელთანაა აგრეთვე დაკავშირებული ბავშვთა საქმიანობისა და მეცადინეობის მრავალი სახეობა. როგორიცაა: მოძრავი თამაში, ძერწვა, აკინძვა, ქაღალდისგან გამოჭრა, ამოქარგვა; რგოლების, ჯოხების, მძივების სხვადასხვა „ნაგებობების", საგნების აწყობა და სხვა.

ფრებელისეულ თამაშობებისა და მეცადინეობების წესებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა.

სკოლამდელ ასაკში (პირველი ექვსი წლის განმავლობაში) ბავშვის საშინაო-ოჯახური აღზრდის შესახებ ისტორიული ცოდნა-გამოცდილების ანალიზი იძლევა საშუალებას შემდეგი დასკვნების გაკეთებისა;

1. ბავშვის დაბადებისთანავე მისი ნორმალური აღზრდისათვის მშობლების მიერ ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის აღება; აღზრდის მიზნის დასახვა, ექიმისა და მასწავლებლის დახმარებით შესაბამისი გეგმის, პროგრამისა და დღის რეჟიმის შედგენა და ამის მიხედვით მიზანმიმართული, გეგმაზომიერი მოქმედება;

2. ბავშვის თანდაყოლილი ბუნებრივი ფიზიკური და ფსიქიკური უნარების, გრძნობის ორგანოების განვითარებისათვის ზრუნვა შესაბამისი პედაგოგიური ზემოქმედების გზით. ე.ი. სენსორული აღზრდა, რამეთუ არაფერია ცნობიერებაში, რაც შეგრძნებებში არ ჰქონია ადამიანს. თანახმად სენსუალისტური თეორიისა, სამყაროს ცოცხალი, კონკრეტული განსჭვრეტით მიღებული შთაბეჭდილებებით ბავშვის გონებრივი და სულიერი გამდიდრება; შემეცნების ინტერესის აღძრა;

3. ყოვლისშემოქმედისა და ყოვლისშემძლე ღმერთისადმი სიყვარულისა და მადლიერების, ასევე მისი ქმნილებებისადმი სიყვარულისა და მოფრთხილების შეგნებისა და გრძნობის განვითარება ბავშვებში. რწმენის გამომუშავება იმის შესახებ, რომ ღმერთი აჯილდოებს კურთხეებით კეთილმყოფელთ, ბოროტმოქმედთ კი დასჯის (ბიბლიური მაგალითების მიხედვით);

4. ლამაზისა და მშვენიერის შეგრძნებისა და მით ტკბობის უნარების, ესთეტიკური კანონებით ცხოვრების მოთხოვნილების გამომუშავება აღსაზრდელებში ურთიერთობის, ბუნების, ხელოვნების, მხატვრული ლიტერატურის საშუალებით;

5. სკოლამდელ ასაკში ოჯახური აღზრდის შესაბამისი პრინციპების შერჩევის აუცილებლობა. მაგალითად: სიყვარული და მზრუნველობა, თანადგომა, დაცვა, წინამძღოლობა, არჩევანის თავისუფლება ვარიანტების შეთავაზებით, ბუნებრივობა და უშუალობა, გულწრფელობა, პატიოსნება და სამართლიანობა, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, კომუნიკაბელურობა და ა.შ.;

6. აღზრდის ფორმების ასაკისა და მიზნის მიხედვით შემოქმედებითად განსაზღვრა, მაგალითად: თამაში-ფერების, ფორმების, მოცულობის, მდებარეობის, მიმართულების, ხმების, გემოს, სუნის, სიმყარის და ა.შ. სამყაროს შესახებ შთაბეჭდილებების მისაღებად. ასევე კონსტრუირება, აგება, ამოჭრა, აწყობა — შრომითი უნარ-ჩვევების მისაღებად; შრომა, მეცადინეობა, სეირნობა, ექსკურსია, საბავშვო ფილმების ყურება, მოზარდ-მაყურებელთა თეატრში დასწრება... სურათების გალერეას დათვალიერება, სტუმრობა და ა.შ.;

7. პედაგოგიკის კლასიკოსები აგრეთვე გვთავაზობენ აღზრდის მიზნისა და პრინციპების შესატყვის მეთოდებს: საუბარი, ინსტრუქტაჟი, დარწმუნება, ვარჯიში, პირადი მაგალითი, წახალისება (შექება, მოწონება, დაჯილდოება), ნდობა, თხოვნა, იუმორი და სხვა;

8. კლასიკური პედაგოგიკის მიხედვით ბავშვის აღზრდა უნდა ითვლებოდეს პირველ და უმთავრეს საქმედ სახელმწიფოში, საზოგადოებაში, ოჯახში. ეს პროცესი უნდა იწყებოდეს ბავშვის დაბადებისთანავე და უწყვეტად მიმდინარეობდეს სწავლებისა და აღზრდის ერთიანობის გზით მის სრულყოფამდე.

(იგულისხმება II ნაწილი)

დამოწმებული ლიტერატურა

1. ბიბლია (ახალი აღთქმა), მათე 19:4,5.
2. იქვე, მარკოზი 10:9.
3. ბიბლია, დაბადება 1:28.
4. იქვე, მეორე რჯული 6:6,7.
5. გ. ბანძელაძე. „ეთიკა“, თბ., 1962, გვ. 426.
6. Хрестоматия по истории Заруб. педагогики; Марк Фабии Квинтилиане, „О воспитание оратора“. Перев. И. Д. Виноградова. М. 1981, ст. 54.
7. Жураковский Г.Е. „Очерки по ист. ант. педагогики, М., 1940, ст. 416.
8. М.Ф. Квинтилмане „О воспитание оратора“ пер. А. Никольский книга I, 6 гл. III.
9. იქვე.
10. Жураковский Г.Е. „Очерки по ист. ант. педагогики, М., 1940, ст. 473.
11. ფრ. რაბლე. „გარგანტუა პანტაგრუელი“, ტ. II, თბ. 1991.
12. ი. ა. კომენსკი, რჩ. პედ. თხზ., „დედობრივი სკოლა“. თბ. 1949.
13. იქვე, გვ. 315.
14. ახალი აღთქმა, ლუკა 2:52.
15. ი.ა. კომენსკი, რჩ. პედ. თხზ. „დედობრივი სკოლის იდეა“. თბ., 1949, გვ. 316.
16. იქვე. გვ. 317.
17. ი.ა. კომენსკი, რჩ. პედ. თხზ., თბ., 1949, გვ. 48-49.
18. იქვე, გვ. 50.
19. ჯ. ლოკი, „ფიქრები აღზრდის შესახებ“, მ. 1939.
20. იქვე, გვ. 93.
21. იქვე, გვ. 128.
22. იქვე, გვ. 132.
23. იქვე, გვ. 113.
24. იქვე, გვ. 128.

25. Идеи Эстетическое воспитание, Дж. Локк, М. 1973, ст. 62.
26. ჯ. ლოკი. „ფიქრები აღზრდის შესახებ“. მ. 1939, გვ. 102-108.
27. ჟ.ჟ. რუსო, რჩ. თხზ. „ემილი, ანუ აღზრდის შესახებ“, მ. 1961, გვ. 225.
28. Хрестоматия по истории пед. М. 1962, ст. 88.
29. იქვე, გვ. 91.
30. Идеи Эстетическое воспитание, Гелвеций „об уме“, М. 1973, ст. 112.
31. პედ. ისტორია, თბ., 1988, გვ. 100.
32. История дошкольной педагогики, педагогическая деятельность и теория Фридриха Фребелия. М. 1989. ст. 55-61.